ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის III კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ

2022 წლის III კვარტლის მონაცემებით ონის მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 13 575,8 ათ. ლარი, ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისათვის იყო 6 273,9 ათ. ლარი საიდანაც ცხრა თვეში გაიწერა 6 191,4 ათ. ლარი და მთლიანი დაზუსტებული ბიუჯეტის III კვარტლის გეგმამ შეადგინა 19 767,2 ათ. ლარი.

შემოსულობები: 2022 წლის III კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 13 575,8 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 9 472,0 ათ. ლარი (70%); - აქედან ქონების გადასახადის გეგმა 807,5 ათ. ლარი, ფაქტი - 860,3 ათ. ლარი (107%); დამატებითი ღირებულების გადასახადის გეგმა 4 297,2 ათ. ლარი, ფაქტი - 4 512,4 ათ. ლარი (105%); გრანტების გეგმამ (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი) შეადგინა 8 168,9 ათ. ლარი, ფაქტი - 3 738,8 ათ. ლარი (46%); სხვა შემოსავლებიდან პროცენტის გეგმა 29,6 ათ. ლარი - ფაქტი 95,0 ათ. ლარი (320%); დივიდენდებიდან შემოვიდა 30,0 ათ. ლარი, გეგმა 30,0 ათ. ლარი (100%); მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გეგმა 112,0 ათ. ლარი - ფაქტი 118,0 ათ. ლარი (105%);; შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან გეგმა 10,0 ათ. ლარი - ფაქტი 13,1 ათ. ლარი (131%); სანებართვო მოსაკრებლების გეგმა შეადგენდა 4,0 ათ. ლარს ფაქტი 7,2 ათ. ლარი (180%); ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა 7,6 ათ. ლარი - ფაქტი 4,3 ათ. ლარი (57%); არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან შემოვიდა 0,1 ათ. ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავების შემოსავლების გეგმამ შეადგინა 35,0 ათ. ლარი - ფაქტი 15,9 ათ. ლარი (45%); ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე შემოვიდა 38,0 ათ. ლარი; შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების გეგმა 4,0 ათ. ლარი - ფაქტი 0; არაფინანსური აქტივების კლების გეგემა შეადგენდა 70,0 ათ.ლარს ფაქტი 39,0 ათ.ლარი (56%).

გადასახდელები: ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის III კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის გადასახდელების გეგმამ შეადგინა 19 767,2 ათ. ლარი და ფაქტიურად გაიხარჯა 11 328,7 ათ. ლარი (57%) აქედან:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების დაზუსტებულმა გეგმამ შადგინა 2 348,5 ათ. ლარი - ფაქტი 2 144,4 ათ. ლარი (91%); აქედან წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) ხარჯების გეგმა იყო 654,5 ათ. ლარი - ფაქტიურად გაიხარჯა 629,0 ათ. ლარი (96%); აღმასრულებელი ორგანოს (მერიისა და მასში შემავალი სამსახურების) ხარჯების გეგმა 1 597,7 ათ. ლარი - ფაქტი 1 437,4 ათ. ლარი (90%); სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის გეგმა 76,3 ათ. ლარი - ფაქტი 72,6 ათ. ლარი (95%); ასოცირებული საწევრო გადასახადის გეგმა 5,5 ათ. ლარი - ფაქტი 5.5 ათ. ლარი (100%).

ინფრასტრუქტურის განვითარება გეგმა 15 311,0 ათ. ლარი, ფაქტი 7 378,0 ათ. ლარი (48%). აქედან:

- გზების კაპიტალური შეკეთების ხარჯების გეგმა 4 596,7 ათ. ლარი - ფაქტი 2 906,5 ათ. ლარი (63%);
- გზების მიმდინარე შეკეთების გეგმა 280,0 ათ. ლარი - ფაქტი 223,9 ათ. ლარი (80%);
- წყლის სისტემის რეაბილიტაცია გეგმა 653,6 ათ. ლარი - ფაქტი 424,6 ათ. ლარი (65%);
- წყლის სისტემის ექსპლოატაცია 55,1 ათ. ლარი - ფაქტი 53,6 ათ. ლარი (97%);
- გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ხარჯების გეგმა 39,0 ათ. ლარი - ფაქტი 33,6 ათ. ლარი (86%);
- გარე განათების ელექტროენერგიის ხარჯი 158,6 ათ. ლარი - ფაქტი 155,1ათ. ლარი (98%);

- კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში 8,0 ათ. ლარი - ფაქტი 3,0 ათ. ლარი (38%);

- საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია გეგმა 60,0 ათ. ლარი - ფაქტი 36,0 ათ. ლარი (60%);

- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია გეგმა 1 142,2 ათ. ლარი - ფაქტი 466,2 ათ. ლარი (41%);

- საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია გეგმა 2 917,9 ათ. ლარი - ფაქტი 595,2 ათ. ლარი (20%);

- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა გეგმა 563,8 ათ. ლარი - ფაქტი 326,8 ათ. ლარი (58%);

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამა გეგმა 820,2 ათ. ლარი - ფაქტი 623,7 ათ. ლარი (76%);

- სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია გეგმა 3 463,4 ათ. ლარი - ფაქტი 1 355,8 ათ. ლარი (39%);

- მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება გეგმა 192,9 ათ. ლარი - ფაქტი 11,6 ათ. ლარი (6%);

- ეკონომიკური განვითარება ბიზნეს კლასტერების შექმნის და ინვესტიციების მოზიდვა გეგმა 344 560 ლარი, ფაქტი 162 401 ლარი (47%);

დასუფთავება და გარემოს დაცა გეგმა შეადგენდა შესაბამის პერიოდში 421,6 ათ. ლარს, ფაქტი 418,8 ათ. ლარი (99%). აქედან:

- დასუფთავება და ნარჩენების გატანა გეგმა 374,0 ათ. ლარი - ფაქტი 374,0 ათ. ლარი (100%);

- მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება გეგმა 37,6 ათ. ლარი, ფაქტი 36,7 ათ. ლარი (98%);

- უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებები გეგმა 10,0 ათ. ლარი, ფაქტი 8,1 ათ. ლარი (81%).

განათლება: სკოლამდელი განათლება ბაგა-ბაღების დაფინანსების გეგმა 278,8 ათ. ლარი - ფაქტი 220,4 ათ. ლარი (79%);

- სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა 104,1 ათ. ლარი - ფაქტი 91,9 ათ. ლარი (88%);

- განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა 103,5 ათ. ლარი - ფაქტი 93,5 ათ.ლარი (90%);

- საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა გეგმა 115,3 ათ. ლარი - ფაქტი 115,1 ათ. ლარი (100%).

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსების გეგმა 807,5 ათ. ლარი - ფაქტი 632,1 ათ. ლარი (78%). აქედან:

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი გეგმა 126,7 ათ. ლარი - ფაქტი 103,9 ათ. ლარი (82%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონი გეგმა 64,5 ათ. ლარი - ფაქტი 47,8 ათ. ლარი (74%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის გეგმა 37,7 ათ. ლარი - ფაქტი 36,9 ათ. ლარი (98%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა გეგმა 41,0 ათ. ლარი - ფაქტი 38,0 ათ. ლარი (93%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის ცენტრის დაფინანსების გეგმა 140,7 ათ. ლარი - ფაქტი 137,0 ათ. ლარი (97%);

- მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაფინანსება გეგმა 53,8 ათ. ლარი - ფაქტი 46,8 ათ. ლარი (87%);

- ბიბლიოთეკის დაფინანსების გეგმა 61,8 ათ. ლარი - ფაქტი 57,1 ათ. ლარი (92%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრის დაფინანსება გეგმა 34,5 ათ. ლარი - ფაქტი 26,8 ათ. ლარი (78%);

- კულტურული ღონისძიებების დაფინანსება გეგმა 130,1 ათ. ლარი, ფაქტი 84,6 ათ. ლარი (65%);

- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა გეგმა 73,9 ათ. ლარი, ფაქტი 13,0 ათ. ლარი (18%);

- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება გეგმა 42,8 ათ. ლარი - ფაქტი 40,2 ათ. ლარი (94%).

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 277,0 ათ. ლარი - ფაქტი 234,3 ათ. ლარი (85%). აქედან:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება გეგმა 38,6 ათ. ლარი - ფაქტი 26,5 ათ. ლარი (69%);

- სოციალური უზრუნველყოფა გეგმა 238,4 ათ. ლარი - ფაქტი 207,8 ათ. ლარი (87%).

სარეზერვო ფონდიდან მიმდინარე პერიოდში გაიხარჯა სოფელ უწერაში თოვლისა და ძლიერი ყინვის შედეგად დაზიანებილი მდინარე ბეღლორზე წყლის სისტემის სათავე ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოზე 5,0 ათ. ლარი; სოფელ ჭვებარში მცხოვრები ორი სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის სასაჩუქრე კალათების შეძენა 0,2 ათ. ლარი; სპორტსმენთა წახალისებასა და ხელშეწყობის მიზნით (მირიან მაისურაძე, თორნიკე სამხარაძე 500-500 ლარი და გიორგი ჩიხრაძე 300 ლარი) 1,3 ათ. ლარი; უკრაინაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად ჰუმანიტარული ტვირთის: საკვები პროდუქტებისა და პირველადი მოხმარების სხვა ნივთების შესყიდვა 5,0 ათ. ლარი; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დაუნის სინდრომის მქონე პირთათვის სასურსათო კალათების შესაძენად დაუნის სინდრომის დღესთან დაკავშირებით 0,3 ათ. ლარი; ობოლ ბავშვთა და სოციალურად დაუცველი შშმ პირთათვის (მარტოხელა) სასაჩუქრე კალათების შეძენა 2,4 ათ. ლარი; სკოლის მოსწავლეებთან სალექციო კურსის ფარგლებში გასამართი კოფი ბრეიქისათვის 0,1 ათ. ლარი; დიზაინის მომსახურების შესყიდვა (სახელმწიფო გერბი) 0,2 ათ. ლარი; სოფელ უწერაში მცხოვრები 100 წლის ქალბატონის სასაჩუქრე კალათის შეძენა 0,1 ათ. ლარი; მუნიციპალიტეტში ოფიციალური პირების სტუმრობის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით დაბეჭდილ ბანერს რკინის კონსტრუქციაზე მოწყობა 0,9 ათ. ლარი; 14 ბენეფიციარი ბავშვის მონაწილეობით გამართული ღონისძიებების დროს გაწეული მომსახურების ანაზღაურება 2,6 ათ. ლარი; ფოლკლორის საერთაშორისო საბავშო და ახალგაზრდული ფესტივალი "კავკასია 2022" ღონისძიებისათვის ბანერის, პრიზების, დიპლომების შესაძენად 4,9 ათ. ლარი; ქ. ონში გ. მაისურაძის ქუჩა N1-ში მცხოვრებ პირთა მიერ გახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა 0,6 ათ. ლარი; სოფელ ჭიორაში სოფლის თავში არსებული ხევის კალაპოტის წმენდის და ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაო 10,0 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის (01.10.2022წ.) ნაშთი შეადგენდა 4 412,8 ათ. ლარს. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან 1 162,3 ათ. ლარს და საკუთარი შემოსავლებიდან 3 250,5 ათ. ლარს.

შემსრულებელი: /თინათინ ბროლაშვილი/

/ნინო მეტრეველი/